ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1224594

ნომერი: AR1211371

თარიღი : 10.04.2014

გაცემის თარიღი : 15.04.2014

გაცნობის თარიღი : 16.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის II მ/რ, N3ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი შაკიაშვილი პ/ნ 13001002399
- თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 421 ბ. 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენს მიერ იქნა ატვირთული დოკუმენტაცია და განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათების და საპროექტო ფოტომონტაჟის) ირკვევა, რომ გსურთ არსებული ღობის დემონტაჟი და გარე ფასადის მოწყობა ხის მსუბუქი კონსტრუქციით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არჩეული ნომენკლატურა არ შეესაბამება თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟით გათვალისწინებულ სამუშაოების საჭირო ნომენკლატურას. საჭიროა აირჩიოთ ის ნომენკლატურები ფოტომონტაჟის მიხედვით რაც არის დაგეგმილი, რის შემდგომაც უნდა შეავსოთ მოცემული ველები, რისთვისაც ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge სამსახურის მიერ ღილაკის საშუალებით გეძლევათ საშუალება ნომენკლატურის ცვლილებისა. ან შესაძლებელია ამოიღოთ სხვა სამუშოები და დარჩეს მხოლოდ ღობის არსებული სიტუაციის ფოტოები, სადაც უნდა მიეთითოს სადემონტაჟო ღობის გაბარიტული ზომები, ასევე საკადასტრო გეგმაზე ზუსტად მოინიშნოს სადემონტაჟო ღობის არეალი.

ამასთან იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის განხილვა საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1.მოთხოვნის ტექსტში დეტალურად ასახეთ ახალი ნომეკლატურის შესაბამისად რისი გაკეთებაც გსურთ (მიუთითეთ რომ გსურთ თანასაკუთრებაში არსებული ღობის დემონტაჟი და ფოტომონტაჟის და ნომენკლატურის მიხედვით დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ვრცელი ინფორმაცია)

2. ვინაიდან მიწის ნაკვეთი ამონაწერი საჯარო რეესტრის მონაცემის მიხედვით შპს „პანეტერია“ –ს და საქველმოქმედო ფონდი„ საქართველოს კარიტასი“ –ს თანასაკუთრებაა და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „პანეტერია“ –ს დირექტორი განმცხადებელი მოქ. თამაზი შაკიაშვილია ხოლო საქველმოქმედო ფონდი„ საქართველოს კარიტასი“ –ს დირექტორი მოქ. კშიშტოვ გუსტავ კოვალია აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენი გექნებათ მისი თანხმობაც ( რაც შესაძლებელია აიტვირთოს „საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა“ ველში), ასევე წარმოსადგენი გექნებათ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკიდან გამომდინარე სსიპ შემოსავლების სამსახურის თანხმობა ღობის დემონტაჟთან და ფოტომონტაჟით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოებთან დაკავშირებით (რაც შესაძლებელია აიტვირთიოს „დამატებით დოკუმენტის“ ველში“).

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.